პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1976
პარასკევი
30
იანვარი
№ 25
(16455)
ფასი
2 კაპ.
1976

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ყოველი დღე, საათი — დამკვრელური!

ქეთევან-საბრისხის, ეფექტიანობის-ხუთწლედი

პირველი შედეგები

მეგობარი ერის გულითადი მოლოცვა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას მრავალი გულითადი მოლოცვა გამოუგზავნეს მოკავშირე რესპუბლიკების კომუნისტურ პარტიათა ყრილობებმა და ცენტრალურმა კომიტეტებმა, პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებმა, მრეწველობა-ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის ქალაქების სხვადასხვა უბნებიდან, ოლქებიდან — ყველა ქალაქიდან და რაიონიდან.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებიდან მიღებულ მოლოცვებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აზერბაიჯანის სს რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელთა სახელით მხურვალედ და გულითადად მიესალმება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დელეგატებს, რესპუბლიკის ყველა კომუნისტსა და ყველა მშრომელს.

თქვენი ყრილობა მიმდინარეობს ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში საბჭოთა ხალხი ემზადება ღირსეულად შეხვდეს სკკპ XXV ყრილობას. სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში მოპოვებული დიდი წარმატებებით შეხვდნენ თავიანთ ყრილობას საქართველოს კომუნისტები. აზერბაიჯანის კომუნისტები და ყველა მშრომელი დიდი შთაგონებითა და სიხარულით აღიქვამენ სასიხარულო ცნობებს მოძმე ქართველი ხალხის სახელოვანი შრომითი გამარჯვებების შესახებ. მზიური საქართველოს მეფოლადეთა და მეჩაიეთა, მაღროელთა და ენერგეტიკოსთა დამკვრელური შრომა, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა დაგვრგვინდა მეცხრე ხუთწლედის ვადამდე შესრულებით ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. სულით და გულით ეუსურვებთ თქვენს ყრილობას ნაყოფიერ მუშაობას, დიდ წარმატებებს კომუნისტებს, მთელ ნიჭიერ ქართველ ხალხს სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის შეჯიბრებაში, კომუნისტური მშენებლობის დიდებული გეგმების განხორციელებაში.

გაუმარჯოს საქართველოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად საბჭოთა სამშობლოს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და ბედნიერების ბურჯს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობას

ძვირფასო ამხანაგებო!

სომხეთის კომპარტიის XXVI ყრილობა რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით მხურვალედ მიესალმება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დელეგატებს, რესპუბლიკის ყველა მშრომელს და უსურვებს ახალ დიდ წარმატებებს კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი დიადი საშობლოს საკეთილდღეოდ.

ჩვენი ყრილობები მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დღეებში, როცა მეცხრე ხუთწლედის წარმატებული შესრულებით ფრთაშესხმული საბჭოთა ხალხი უდიდესი შთაგონებითა და შემოქმედებითი აღმავლობით შეუდგა პარტიის მიერ წამოყენებული შემდგომი საშეურნეო და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული პროგრამის განხორციელებას.

დღითიდღე სულ უფრო ფართოვდება სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების გაქანება. ახალი ძალით ჩაღდება ბრძოლა წარშოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი დიადი სამშობლოს მშრომელები დიდი ქმაყოფილების გრძნობით ერთსულოვნად უჭერენ მხარს და მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, ლენინური ცენტრალური კომიტეტისა და მისი მეთაურის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ნაყოფიერ საქმიანობა და საგარეო პოლიტიკის.

კომუნისტური მშენებლობის საქმეში უდიდესი წვლილი შეაქვთ საქართველოს მშრომელებს თავიანთი ნაცადი ავანგარდის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი სახელოვანი რაზმის — საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის დარგში — ცხოვრების ყველა სფეროში მოძმე ქართველი ხალხის შესანიშნავი მიღწევები და წარმატებები მკაფიოდ მოწმობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, დიდ რუს ხალხთან, სსრ კავშირის ყველა ხალხთან ძმური მეგობრობის, მჭიდრო თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ცხოველმყოფელ ძალას.

ქართველი და სომეხი ხალხების ურღვევი მეგობრობა გამოიკვეთა ერთობლივ ბრძოლაში სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის, რევოლუციურ ბრძოლებში საბჭოთა ხელისუფლებისათვის, საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში თავდადებულ გმირულ შრომაში. ჩვენი წმიდათაწმიდა ვალია თვალსაჩინოვნად გავუფრთხილდეთ ხალხთა მეგობრობას, დაუცხრომლად განვამტკიცოთ და განვავითაროთ იგი.

ავითარებენ რა სოციალისტური შეჯიბრების ტრადიციებს, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების და რაიონების მშრომელები, სამრეწველო საწარმოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივები ეხმარებიან ერთმანეთს, უზიარებენ მოწინავე გამოცდილებას, წლითიწლობით ფართოვდება მათი კულტურული, მეცნიერული კავშირურთიერთობა.

საბჭოთა სომხეთის კომუნისტების, ყველა მშრომელთა სახელით საქართველოს კომუნისტურ პარტიას, მოძმე ქართველ ხალხს, რესპუბლიკის ყველა მშრომელთ ვუსურვებთ დიდ წარმატებებს მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში, კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმების განხორციელებაში.

გაუმარჯოს მოძმე ქართველ ხალხს.

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხების ურღვევ მეგობრობას!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორსა და სულისჩამდგმელს!

სომხეთის კომპარტიის XXVI ყრილობა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე 1976 წლის 24 იანვარს

ამხანაგო დელეგატებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის მუშაობა დასასრულს უახლოვდება. ყრილობამ უკვე განიხილა ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და საქართველოს კომპარტიის სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენება, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ ამხ. გ. ფირცხალავამ. ეფექტრობ, ამხანაგები დამეთანხმებიან, თუ ვიტყვი, რომ ეს მოხსენება საინტერესოა და რომ იგი გამსჭვალულია პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის სულისკვეთებით.

ჩვენ ყველამ დიდი ყურადღებით მოვისმინეთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. პატარიძის საინტერესო, მეტად შინაარსიანი მოხსენება, რომელშიც ზუსტად არის მოხაზული მეათე ხუთწლედსათვის საბჭოთა საქართველოში დასახული ეკონომიური და კულტურული მშენებლობის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი კონტურები, რომელიც განსაკუთრებით რეალიეფურად ჩანს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტის „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითადი მიმართულებების“ ფონზე.

სამანდატო კომისიის მოხსენებაში, რომელიც გააკეთა მისმა თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგემ ამხ. ს. ხაბეიშვილმა, უაღრესად მკაფიოდ აისახა ჩვენი ყრილობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი, ყრილობისა, რომლითაც წარმოგვიდგა, როგორც ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა ფენის, რესპუბლიკაში მცხოვრები ეროვნებებისა და თაობების ერთიანობის განსაზღვრება, როგორც ერთიანი სოციალური ორგანიზმი, გადაკარებული არ ეწინააღმდეგება თუ ვიტყვით, რომ მომავალი ჩვენ, ყველას სწორედ ასეთად — იდეური და მტკიცე რწმენის, შრომისმოყვარე და პრინციპული, ჭკვიანი და განათლებული, ჰუმანური და კეთილშობილი ადამიანების დიდებულ შენადნობად გვესახება. რით არ აბრის ეს ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ხვალინდელი დღე?

ყრილობას მუშაობაში მონაწილეობენ ჩვენი ძვირფასი სტუმრები. ჩვენ მათ თავ ყრილობას მთელი მუშაობის მანძილზე ხედავთ ჩვენს პრეზიდიუმში. ალბათ, დასაწყისშივე უნდა მივსალმებოდით მაგ, მაგრამ გადავდეთ დასკვნითი სხდომისათვის, რათა ჩვენი სიტყვები განსაკუთრებით დაამახსოვრდეს თვითეულ მათგანს.

ვალოდით ყველა ჩვენგანისათვის ძვირფას სტუმარს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, თვალსაჩინო სახელმწიფო, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს ანდრია ანდრიას-ძე გრომიკოს. საღწუხაროდ, მან ვერ მიიღო მონაწილეობა ჩვენი ყრილობის მუშაობაში. ანდრია ანდრიას-ძეს დავგვირეკა და გვითხრა, რომ გადაუდებელმა საქმეებმა საშუალება არ მისცეს მას ჩვენთან ჩამფსულიყო და თანაც გვთხოვა ჩემი სახელით ყრილობის დელეგატებს ყველაზე საუკეთესო სურვილები გადაეცითო. უნდა გაცნობოთ, რომ მას სკკპ XXV ყრილობის დელეგატად ავირჩევთ.

ნება მაბოძეთ თქვენი სახელით გულითადად მივესალმო ყველა ჩვენს ძვირფას სტუმარს და ჩვენი მადლობა გადავუხადო ყრილობაზე მყოფ ამხანაგებს: მსოფლიოში უდიდესი პროფკავშირული ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ლუდმილა ანდრიას ასულ ზემლიანიკოვას; სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის მინისტრს — სტეფანე დიმიტრის-ძე ხიტროვს, რომელმაც ძალიან ბევრი რამ გააკეთა ჩვენი რესპუბლიკისათვის, დღენიადაგ ზრუნავს ჩვენი სახალხო მეურნეობის ამ დიდმნიშვნელოვანი დარგის განვითარებისათვის, ადამიანს, რომელიც მეტად აქტიურად მონაწილეობს ჩვენი სასოფლო მშენებლობის ყველა საქმეში; ამხანაგ ვასილ ვასილის-ძე ბოიკოვს — ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მეტად დიდმნიშვნელოვანი მექანიზმის — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტანდარტების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს. თქვენ ყველანი კარგად იცნობთ — იგი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია საქართველოს სს რესპუბლიკისაგან, წარმოადგენს ჩვენს რესპუბლიკას სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოში. ჩვენს ყრილობას ესწრება მიხეილ ივანეს-ძე ხალდეევი — ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ აქტივში დიდად პოპულარულ ეურნალ „პარტიინაია ჟიზნის“ მთავარი რედაქტორი.

ჩვენ ვიცით, ჩვენ ვგრძნობთ, თუ რა ეურადღებით, რა დიდი ინტერესით ადევნებდით თვალყურს თქვენ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ყრილობის მუშაობას; მთელი ეს დღეები შეიძლება ითქვას, თქვენ ამ ყრილობით ცხოვრობდით, და ეს განსაკუთრებით გვახარებს, განსაკუთრებით გვწვდება გულში.

ვფიქრობ, რომ ჩვენი ძვირფასი ამხანაგებისადმი მადლობას მათი ჩამოსვლისათვის, ყურადღებისათვის, ყრილობის მუშაობით დიდი და ღრმა დაინტერესებისათვის ყველანი ამით გამოვხატავთ, რომ ერთსულოვნად მივცემთ ხმას მათს არჩევას კომუნისტთა სრულიად საკავშირო ფორუმის დელეგატებად.

ყრილობის დელეგატებად ავირჩევთ ავრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატებს, ჩვენს დეპუტატებს სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში. — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანს მიხეილ პორფილეს-ძე გორგაძესა და თვალსაჩინო საბჭოთა ეკონომისტ მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე ინოზემცევს; ყრილობაზე დელეგატად წარვგზავნით ავრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის საქმეთა მმართველის პირველ მოადგილეს ალექსანდრე მიტროფანეს-ძე პოპლავსკისაც.

ჩვენი ყრილობის მუშაობაში მონაწილეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი, ამხანაგი ვიქტორ ვასილის-ძე ვასილიევი, რომელსაც მოდამ ვხედავთ ჩვენს პლენუმებსა და პარტიული აქტივის კრებებზე და რომელიც ყოველთვის გვეხმარება მტკაბაში.

ჩვენს სტუმართა შორის არის ჩვენი „პრავდის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი, თვალსაჩინო ეურნალისტი — საერთაშორისო მიმოხილველი გიორგი მიხეილის-ძე რატიანი, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობთ, და მოხარული ვართ, რომ ვხედავთ ჩვენს ყრილობაზე.

ამხანაგებო!

ამჯერად ჩვენ დაწერილებით არ გავაანალიზებთ თვითეული ორატორის გამოსვლას, როგორც ეს პლენუმებზე ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. გამოსვლები იმდენად შინაარსიანი და მრავალმხრივია, რომ ბევრ ფიქრს აღგვიძრავს და მეტად სერიოზულ, საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. ჩვენ კი ეულახლიდან გეტყვით, არ გვქონდა ამ მეტად რთული და მეტად დიდმნიშვნელოვანი მუშაობისათვის საკმაო დრო. მარტო ერთ ან ორ გამოსვლაზე ლაპარაკი კი არც სწორი იქნებოდა და არც სამართლიანი.

ყრილობის მუშაობის შედეგების შეჯამების პრეტენზია არა მაქვს — ეს მეტად ძნელი ამოცანაა და, ალბათ, შედეგების შეჯამება ყრილობის რეზოლუციაში უნდა შეეცადოთ, — მინდა შეეეხო მხოლოდ ზოგიერთ საკითხს, რომლებსაც, ჩვენი აზრით, გარკვეული მნიშვნელობა აქვს ჩვენი ყრილობის დამამთავრებელ ეტაპზე.

ეუნარეს ყოვლისა, უნდა ვთქვათ, რომ **მოსსენებათა განხილვაში მონაწილეობა მიიღეს დელეგატებმა, რომლებიც ყრილობაზე ჩამოვიდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონიდან,** რითაც ფართოდ წარმოადგინეს მისი გეოგრაფია: დედაქალაქის პარტიული ორგანიზაციიდან — თბილისის კომუნისტთა მრავალრიცხოვანი რაზმიდან, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციებიდან, რესპუბლიკის ქალაქებიდან და რაიონებიდან — ქუთაისიდან, რუსთავიდან, ჭიათურიდან, გორიდან, ზუგდიდიდან, ფოთიდან, სიღნაღიდან, გურჯაანიდან, ბაბუშიდან, მახარაძიდან, საგარეჯოდან, ბოლნისიდან, ახალქალაქიდან, ადიგენიდან, მესტიიდან.

ამრიგად, დელეგატები ყრილობაზე ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მხრიდან, ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ. ისინი თავიანთ ფორუმზე მოდიოდნენ კომუნისტთა დავალებით, რომ ყრილობაზე აღეძრათ საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარების, ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის შემდგომი სრულყოფის, რესპუბლიკის მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის კიდევ მეტად გაჯანსაღების ყველაზე საჭიროროტო საკითხები, ყველაზე აქტიალური, ყველაზე სერიოზული პრობლემები.

მგონია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყველა ამხანაგმა პირნათლად შეასრულა თავისი პარტიული ორგანიზაციის დავალება, მისი ღირსეული წარმომადგენელი იყო ყრილობაზე.

შემდეგ ამ ტრიბუნაზე გამოვიდნენ რესპუბლიკის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენის — ჩვენი გმირი მუშათა კლასის, ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობის, ჩვენი საუკეთესო სახალხო ინტელიგენციის, არმიელი კომუნისტების, საქართველოს 300-ათასიანზე მეტი კომუნისტური პარტიის ყველა რაზმის წარმომადგენლები.

მგონია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ დელეგატთა გამოსვლები, ყრილობის მუშაობის მთელი სულისკვეთება, ამ დარბაზში გამეფებული მთელი ატმოსფერო დიდ კმაყოფილებას გვგვრის და ჩვენ სრულიად სამართლიანად ვამაყობთ მთელი ჩვენი პარტიული ორგანიზაციით, ჩვენი რესპუბლიკის ყველა კომუნისტით.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობენ **ჩვენი პარტიის ვეტერანები,** რომლებსაც მთელი თავიანთი ცხოვრებითა და შრომით ხალხის საყოველთაო მადლიერება და მუდმივი პატივისცემა ხვდათ წილად. რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმზე კარგად გაისმა **ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობის,** ლენინური კომკავშირის წევრების, საბჭოთა საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად მონაწილე ქალიშვილებისა და ჭაბუკების ხმა, ჩვენი მომავლის, ჩვენი იმედის ხმა.

მთელი თავიანთი სულიერი სილამაზით, მთელი თავიანთი სიდიადით წარმოსდგნენ რესპუბლიკის კომუნისტ ქალთა საუცხოო, მებრძოლი რაზმის წარმომადგენლები. ბოლნისის რაიონის ფახრალოს საბჭოთა მეურნეობის მუშის ტუკაბან ტანრივერდიევას, პარტიის საგარეჯოს რაკომის პირველი მდივნის მედეა მუზგრრშვილის, თბილისის 29-ე საშუალო სკოლის პედაგოგის თინათინ ლეკვავას, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მეჩაიის გუგული ქადიშვილის, რესპუბლიკის განათლების მინისტრის თამარ ლაშქარაძისის, გორის ბამბეულის კომბინატის მუშის თამარ დაღლაშვილის, თბილისის ცენტრალური უნივერმაღის დირექტორის მედეა ყიფიანის გამოსვლებში მთელი სისრულით გამოვლინდა ჩვენი სახელოვანი მშრომელი და კომუნიზმის იდეალების გამარჯვებისათვის მებრძოლი მეგობარი ქალების სუფეთესო ადამიანური თვისებები — მოვალეობის დიდი შეგნება, მნდობლიი საქმისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა, პოლიტიკური სიმწიფე, დიდი საზოგადოებრივი აქტიურობა და სულიერი მომხიბლაობა.

მგონია, საერთო აზრს გამოვიქვამ, თუ ვიტყვი, რომ დელეგატ ქალთა მგზნებარე, პრინციპული, დამაჯერებელი გამოსვლები ყრილობაზე ამის მოთხოვნად გაისმა, რომ უფრო ხშირად დავუთმოთ ხოლმე მათ ტრიბუნა, უფრო ყურადღებით ჩავუკვირდეთ მათს სიტყვებს.

მე შემთხვევით არ დავიწყე ორატორი ქალებით და ვფიქრობ, რომ ჩვენ, კაცებმა, გულახლიდან უნდა ვაღიაროთ: ხელმძღვანელ პოსტებზე დანიშნული ხალხი ჯერ კიდევ ვერ დაგვიდწევია თავი ერთგვარი მამაკაცური კორპორაციულობისათვის, თუ გნებავთ ასე ეთქვათ მამაკაცური მონოპოლიზმისათვის. აი როგორ ხდება ჩვენში: ვაწინაურებთ მამაკაცს, და თუ მას არაფერი გამოუდის, ცუდად მუშაობს, ვიტყვით ხოლმე, შეეცადითო. მაგრამ, როცა ქალს ვაწინაურებთ და საქმეს თავს ვერ ართმევს, მხოლოდ ერთადერთი არგუმენტი გვაქვს: ქალია, და იმიტომაც არაფერი გამოსდიოს.

უფრო გაბედულად უნდა დავაწინაუროთ ქალები ხელმძღვანელ პოსტებზე საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, პარტიულ სამუშაოზე.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა როგორც არასდროს ადრე, დელეგატთა შემადგენლობით ყველაზე უფრო წარმომადგენლობითია. ამას მკვეთრმეტყველურად მოწმობს კამაში გამოსულთა სოციალური კიბეგრილების მრავალფეროვნება. ყრილობის სამპატიო ტრიბუნაზე გამოვიდნენ თბილისელი მშენებლები ამხანაგები ტ. ქორთველიშვილი და ვ. ჭელიძე, საავიაციო ქარხნის ხარატი ამხ. ნ. როდემანჩენკო — ეროი ჩვენი სახელოვანი მუშათაგანი, ახალქალაქის რაიონის სოფელ ბურნაშეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ვ. კოჩოიანი, მახარაძის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის მუშა ამხ. ტ. ტანრიეერდიევა, გორის ბამბეულის კომბინატის მუშა ამხ. თ. დიდელაშვილი. მათი გამოსვლები მოწმობს, თუ როგორ გაზრდილა ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი, ჩვენი სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, რა უდიდეს როლს ასრულებენ ისინი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელთა იდეური და პროფესიული ზრდა მკაფიოდ გამოიხატა „სიტყვებით, რომლებიც წარმოთქვეს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. თ. მენთეშაშვილმა, პარტიის აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტების ხელმძღვანელებმა ამხანაგებმა ვ. ხინთბამ, ვ. პაპუნიძემ და ფ. სანაკოევმა, პარტიის ქუთაისის, ჭიათურის, ფოთის და ზუგდიდის საქალაქო კომიტეტების პირველმა მდივნებმა ამხანაგებმა ნ. რუხაძემ, ნ. ეგაშიძემ, ი. უბილავამ და გ. კვარაცხელიამ, პარტიის გორის, სიღნაღის, ადიგენის, მესტიის, აბაშის, საგარეჯოს და გურჯაანის რაიკომების პირველმა მდივნებმა ამხანაგებმა ა. კავსაძემ, ვ. ქარუმიძემ, მ. ქაჯაიამ, ბ. სარალიძემ, ვ. მგელაძემ, მ. მეზვრიშვილმა და შ. ეცაღაშვილმა.

განუზომლად გაიზარდა ჩვენი სახალხო მეურნეობის ღოკმანთა პასუხისმგებლობა რესპუბლიკის ეკონომიკის საკვანძო პრობლემების გადაწყვეტისათვის. ამას მოწმობს მსუბუქი და კვების პრომეწველობის მინისტრების ამხანაგების ვ. გამცემლიძისა და რ. კონცელიძის, სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. ნ. ჭითანავის, რესპუბლიკის სახმშენის თავმჯდომარის ამხ. ი. ცაცანშვილისა და ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. კ. შავიშვილის, ენგურჰესის მშენებლობის სამმართველოს უფროსის ამხ. მ. ცისკარიშვილის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ამხ. ო. სულაძის, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის ამხ. გ. ქადაგიძის გამოსვლები.

რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად იჭრება საბჭოთა ინტელიგენცია. ეს ხათლად ცხადყვეს თავიანთ გამოსვლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა ამხ. ე. ხარაძემ, თბილისის **ეცხო** ენათა სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორმა ამხ. ა. ალექსიძემ, რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ამხ. ფ. ლაშქარაშვილმა, ფიზიოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ამხ. მ. ხანანაშვილმა, თბილისის 29-ე საშუალო სკოლის პედაგოგმა ამხ. თ. ლეკვავამ, საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ და მდივანმა ამხანაგებმა გ. ცბაძიძემ და ნ. დუმბაძემ, კინოსტუდია „ქართული ფილმის“ დირექტორმა ამხ. რ. ჩხეიძემ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კათედრის გამგემ ამხ. ა. ბეგიაშვილმა.

არმიისა და ხალხის ურღვევ ერთიანობაზე ძალიან დამაჯერებლად ილაპარაკეს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ჯარების სარდალმა ამხ. ბ. მელნიკოვმა და ჩვენი მამაცი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებმა, რომლებიც ჩვენს ყრილობას მიესალმნენ. ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პრობლემებს, მეათე ხუთწლედის პროგრამის შესრულებაში რესპუბლიკის კომკავშირის ამოცანებს შეეხო თავის ამაღლებელ გამოსვლაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ჟ. შარტავა. სახელმწიფო და შრომის დისციპლინის ყოველნაირად განმტკიცების, შესრულების კონტროლის სრულყოფის, სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაჩაღების საკითხებს — ყველა ამ საკითხს შესახებ კარგად ილაპარაკეს საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. თ. მოსაშვილმა, რესპუბლიკის სახალხო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. ო. მელქაძემ, სახალხო მეურნეობის, ქალაქმშენებლობის, ჯულტურის განვითარების, შემდგომი პერსპექტივები სანტიერესოდ გააშუქა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. ბ. ლობჟანიძემ.

ამრიგად, ყრილობაზე გამოსულ დელეგატთა ხმა ჩვენი რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაციის ხმაა, რომელმაც გამოხატა ყველა კომუნისტის, ყველა ჩვენი მშრომელის ფიქრები, აზრები და მისწრაფებები.

ყურადღებას იპყრობს რესპუბლიკის რივით მშრომელთა, პატრიოტული წარმოების სფეროში დასაქმებული კომუნისტთა გამოსვლების მაღალი დონე. ყოველმა თქვენგანმა, ალბათ შენიშნა რომ მეჩაიის გამოსვლა არცთუ დიდად განსხვავდებოდა, ეთქვათ, პარტიის რაიკომის მდივნისა თუ მეცნიერის გამოსვლისაგან, ნუ მიწყენენ მეცნიერები, თბილისელი მშენებლის სიტყვა კი — სახელმწიფო მოღვაწის სიტყვისაგან.

(დასასრული მე-2 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის საბოლოო სიტყვა

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე 1976 წლის 24 იანვარს

(დასასრული)

ეს ჩვენი დროის მიღწევად, მის კარგ ნიშნად, შომწიფებული სოციალიზმის ეპოქის ნიშნად მიგვიჩნია. იგი მოწმობს, რომ სულ უფრო ჭრიან განსხვავება ქალაქსა და სოფელს შორის, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის, რომ ახლა მიმდინარეობს ადამიანთა სოციალური, ინტელექტუალური და პოლიტიკური დაახლოების დიდმნიშვნელოვანი და შეუქცევადი პროცესები, რომლებიც ვითარდება როგორც მთელ ჩვენს საზოგადოებაში, ისე ჩვენს რესპუბლიკაში, როგორც მთელ ჩვენს პარტიაში. ისე საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში. ყოველივე ეს დამაჯერებლად, თვალსაჩინოდ ცხადყო ჩვენმა ყრილობამ.

პირდაპირ უნდა ვთქვათ, რომ ასეთ ფონზე მაინც და მაინც სახარბიელოდ ვერ გამოიყურება ზოგიერთი ჩვენი მეცნიერი, განსაკუთრებით საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერები. თუ ვამბობთ, რომ ჩვენი უფროდღეების ცენტრში დგას ადამიანი, — ეს კი სინამდვილეში ასეც არის. — მაშინ საზოგადოებრიმა მეცნიერებებმა და მათმა მსახურებმა თავიანთი წმიდათაწმიდა მოვალეობად უნდა მიიჩნიონ ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი სახის ჩამოყალიბება, მშრომელთა კომუნისტური აღზრდა.

სამწუხაროდ, საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები მეტისმეტად არიან გატაცებული ისტორიზმით თანამედროვეობის პრობლემების საზიანოდ, რომლებსაც უყურესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ცნობილია, რომ ეკონომიკური, საზოგადებრივი, პოლიტიკური განვითარების თანამედროვე პრობლემების, პიროვნების ჩამოყალიბების აქტუალური საკითხების ღრმა მეცნიერული კვლევა უფრო რთული, ვიდრე გარდასულის კვლევა. მაგრამ შეგახსენებთ: „მეცნიერებაში არ არის ფართო შარაგზა. და მხოლოდ ის მიაღწევს მის ნამდვილ მწვერვალებს, ვინც არად აგდებს დაღლას და შეუპოვრად მიუყვება მის კლაკნილ ბილიკებს". დე ჯ. მარქსის ეს სიტყვები იყოს იმათი სერიოზული გაფრთხილება, ვინც ძველებურად მოშაობას დაეჩვია.

ამხანაგებო, საეჭვო არ არის იმაზე ლაპარაკი, თუ რა მნიშვნელობა აქვს პარტიის ყრილობებს რესპუბლიკური, ჩვენი საოლქო, საქალაქო და რაიონული. იგრეთვე პირველადი პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. პარტიის ყველა წევრის ცხოვრებაში. თვითეულმა კომუნისტმა ეს კარგად იცის და მთელი გულით გრძნობს.

მაგრამ ყოველ ყრილობას თავისი განმასხვავებელი თვისებები, თავისებურებები აქვს. თავისებურებები აქვს საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობასაც. აჯლ. როცა ოდესაც ყრილობის მუშაობის ბოლო დღე, და მალე ყველანი დაუბრუნდებით თქვენს ქალაქებსა და რაიონებს, თქვენს პარტიულ ორგანიზაციებს, ბუნებრივია, თვითეული თქვენგანს დაეცმდება კითხვა: რა განმასხვავებელი თვისებები ჰქონდა ამ ყრილობას, რა იყო მისი თავისებურება?

ყრილობის დელეგატები, მისი ყველა მონაწილე ერთსულოვანი და ერთი აზრისა არიან, რომ ყრილობაზე ჯიშმარიტად დიდი, შინაარსიანი, საქმიანი და სანტერესო სხვა-მასაა გაიმართა. ეს ძალა, მაგრამ მაინც რა არის ყრილობის მთავარი გეზი, რა არის მისი მთავარი პრობლემა, რა იყო მისი ყურადღების ცენტრში?

ამ კითხვას რომ ეუპასუხებს, უნდა აღინიშნოს: პარტიის ცენტრალური კომიტეტი ყრილობისათვის რომ ემზადებოდა, იმით ხელმძღვანელობდა, რომ პარტიაო ყრილობაზე ენდა მოსულიყო ბოლო წლების მანძილზე გაწეული პარტიული მუშაობის შესახებ პოლიტიკური ანგარიშით. პარტიული მუშაობა კი, როგორც უკვე ითქვა, ადამიანთან მუშაობაა, ადამიანის აღზრდაა.

სწორედ ამიტომ საანგარიშო მოხსენებას საფუძველად დაედო ადამიანის პრობლემა, ჩვენი საბჭოთა ადამიანისა, მისი საქმეები და საზრუნავი, მისი ფიქრები და განცდები, მისი საჭიროებები და მოთხოვნილებები.

ადამიანი საწყისია! საწყისია!

ადამიანი ქვეყნად ყოველივე. მშვენიერის შემოქმედია!

ადამიანი სამყაროს საუკეთესო „მშვენებაა!"

„რა სასწაულის მოხდენა შეუძლიათ ადამიანებს!" — უთქვამს ალადინი ილიას-ძე ლენინს, როცა „ავსტროლაბს" ისაჩვენა.

„ადამიანი — რა ამყაგ ყოვრს!" — წერდა ალექსი მაქსიმეს-ძე გორკი ცარიზმის ყველაზე შავბნელ წლებში.

ჩვენს დღეებში, განვითარებული სოციალიზმის ქვეყანაში, რომელიც კომუნიზმის გზას უცვალოს მთელ კაცობრიობას, არ არის და არაფერი ქმედება იყოს **ადამიანზე ძვირფასი, ადამიანზე უმაღლესი, ადამიანზე უმშვენიერესი.** ადამიანი ჯიშმარიტად ჩვენი ყველაზე ფასდაუდებელი სიუნჯეა. ჩვენი მთავარი, უდიდესი კაპიტალია.

სწორედ ამიტომ, ჩვენ, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მოწინავე, ყველაზე სამართლიანი საზოგადოების მშენებლებს გვსურს, რომ კიდევ უფრო ამაყად ჟღერდეს სიტყვა — **ადამიანი!**

სწორედ ამიტომ მთელი სხვა-მასაი ჩვენს ყრილობაზე ადამიანს ორგანული მიმდინარეობდა, ადამიანის ინტერესებს მიეძღვნა.

სწორედ ამიტომ ყრილობის მთელი მუშაობის მთავარი გეზი, წინამდინარეობდა ბოლო, ბინა შესწავლის მთავარი ობიექტი გახდა ადამიანი — ჩვენი თანამედროვე დაბადებული ადამიანი.

ჩვენ შეეცადეთ საანგარიშო მოხსენებაში ზოგადად მოგვეხსენებინა მუშაობა კლასის — ჩვენი საზოგადოების ყველაზე მრავალრიცხოვანი, ყველაზე რევოლუციური კლასის, ძირითადი მწარმოებელი ძალის სოციალური პორტრეტი: პორტრეტი, ჩვენი გლეხობისა, რომლის მეგზურო კავშირი მუშათა კლასთან ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური საფუძველია; ჩვენ ამ მოგიყვანეთ ჩვენი სახალხო საბჭოთა ინტელიგენციის სოციალური პორტრეტის ზოგიერთი შტრიხი, ინტელიგენციისა, რომელსაც თავის მოწოდებად მიაჩნია, რომ მთლიანად, ბოლომდე მოაბამრის თავისი შემოქმედებითი ენერგია ხალხს, თავდადებით ეწესტეროს კომუნისტური საზოგადოების აშენებას.

პარტიულ ორგანიზაციებს ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეთ ჩვენი საზოგადოების ყველა კლასისა და სოციალური ჯგუფის სოციალურ პორტრეტზე, რათა უფრო მიზანდასახულად, უფრო ეფექტიანად წარმართონ მშრომელთა მორალური და პოლიტიკური აზრდა, მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის საფუძველზე განმტკიცონ საბჭოთა ხალხის სოციალური ერთიანობა, ჩამოუყალიბონ უფროთოს მასებს კომუნისტური მსოფლმხედველობა.

წინ თუ გავიხედავთ, შეგიძლია ვთქვათ, რომ ჩვენმა პარტიულმა მუშაობამ, სოციოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, ფსიქოლოგებმა, ეკონომისტებმა, დემოგრაფებმა კიდევაც ბევრი უნდა იმუშაონ ამ მხრივ, ცხოვრება მოითხოვს, რომ ეს სოციალური პორტრეტები კვლავაც იქმნებოდეს და იხვეწებოდეს.

მაგრამ ყველაზე ქაფი ტრიბები, ყველაზე ხასხასა ფერები იმ სოციალური პორტრეტებისა, რომლებიც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წარუდგინა ყრილობის დელეგატებს, თვით ყრილობაზე შექნილს იმათ, ვისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათი დახატვასაც შეეცადეთ. ყრილობის ტრიბუნაზე ზედიზედ ადიოდნენ დელეგატები — მუშები, კოლმეურნეები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაკები, მეცნიერები, მასწავლებლები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები. — და თვითეულმა ამ გამოსვლამ კიდევ უფრო უკეთ დაგვანახვა ორატორების, მათი თანამშრომელი ამხანაგების, იმ კოლექტივის ან ჯგუფის საუკეთესო თვისებები, რომლებსაც ისინი წარმოადგენენ.

ეკონომიკის საკითხებში ღრმა კომპეტენტურობა, პარტიული ორგანიზაციებისა და სამეურნეო ორგანოების წინაშე მდგომი ამოცანების სრული შეგნება, „მიღწეულით დაუკმაყოფილებლობის ჯანსაღი გრძნობა, მოვლენების განვითარებაში, პერსპექტივაში დანახვის უნარი — ყოველივე ეს დამაჯერებლად და შთამბეჭდავად გამოავლინეს ყრილობის დელეგატებმა.

პარტიული კადრების აზროვნების დონეს, მეცნიერულ მსოფლმხედველობას, მათი პრაქტიკული მუშაობის გაუოცდილებას — ყველა ამ კატეგორიას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელს ჩვენს საქმიანობაში, ეი რატომ ვფიქრობ ავუვლით გვერდს გულგრილად ამ კატეგორიებს, ვერ უპასუხებელყოფთ ვერცერთ ამ საკითხს.

ჩვენი კადრების მომზადების დონეზე, მათს იდეურ დონეზე, ზოგად კულტურულ პორიზონტზე ხომ დიდად არის დამოკიდებული მთელი ჩვენი მუშაობის მიმდინარეობა, მისი ეფექტიანობა და გამიზნულობა, იმის უნარი, რომ ვიანალიზებდეთ ფაქტებს, განეაზოგადებდეთ მოვლენებს, წინასწარ ვხედავდეთ მოვლენათა განვითარებას, ვადგენდეთ მიმდინარე პროცესების „ანონზომიერებას, ურთიერთსი სოციალურ-ეკონომიური პრობლემების გადმარტებისა და გადაწყვეტის დროს, ვიყენებდეთ დიალექტიკური მატერიალიზმის ფუძემდებელ პრინციპებს.

ერთი სიტყვით, ამ კატეგორიებით დიდად განსაზღვრება საზოგადოების მთელი ეკონომიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოვრება, საზოგადოების ცხოვრებას კი წარმართავენ პარტია, ადამიანები, პარტიის კადრები, რომლებიც პარტიულ პოლიტიკას ახორციელებენ.

ამის გამო განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ **ჩვენი პარტიული აქტივის, ჩვენი ფორუმის დელეგატების იდეური სიმტკიცის, ურყევი კომუნისტური მრწამსის, მაღალი ინტელექტუალურობის სწორედ ასეთი შეხვედრა შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ყველაზე დამახასიათებელ, ყველაზე საგულისხმო, მთავარ, ძირითად შედეგად.**

აი უკვე მესამე დღეა მუშაობს ჩვენი ყრილობა და თვითეულ დღე თავისებურად საგულისხმოა, თვითეულმა დღემ ყრილობის მუშაობას თავისი განსაკუთრებული, წარუშლელი და მკაფიო ბეჭედი დასვა, ყველამ ერთად კი დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

გავიხსენოთ, რამდენი ახალი, ორიგინალური აზრი გამოთქმულა აქ, რა საინტერესო და ღრმა განხილვა-ფიქრები მოუმენი გვიჩდინ დელეგატთა გამოსვლებისას, რა საეჭვოდ ინალიზებული მათს სიტყვებში ბევრი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა. ეს ბოლოს. რა ხალასი, ნამდვილად ხალხური იუმორი გამოსჭვიოდა ბევრ ამ გამოსვლაში. იუმორის გრძნობა, გონებამახვილობა კი ავრეთვე ადამიანის საერთო კულტურის, მისი მოქნილი ინტელექტის მაჩვენებელია, ამავე დროს — ეს არის მაჩვენებელი პარტიული ორგანიზაციამ, მთელ რესპუბლიკაში შექმნილი ისეთი მორალური ატმოსფეროსი, რომელმაც საშუალება მოგვცა ავიღოდა ბევრი შემოქმედებითი სარქველი. შეგვექნა პირობები, რომელთა დროს შესაძლებელია აზრის თავისუფალი გამოთქმა, აზრთა ვეზიარება. ერთი სიტყვით, დამაჯერებელი დადასტურებაა ისეთი ვითარებისა, რომელსაც სკკპ XXIV ყრილობაზე ნამდვილი ამხანაგური სულისკვეთება ეწოდა. და ეს საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარია.

ნამდვილი ამხანაგობის სწორედ ეს სულისკვეთება, კეთილმოსურნეობის, ადამიანისადმი პატივისცემისა და მზრუნველი დამოკიდებულების ვითარება სუფევდა ამ დარბაზში ყრილობის მუშაობის ყველა დღეს. და ეს თავისებურად აღიბეჭდა დელეგატთა უმრავლესობის სახეზე. როგორც ხედავთ, მათ გაზარებული, შთაგონებული სახეები აქვთ, ამ სახეებზე ამოიკითხავთ, რომ მთა ვული შესტკივთ ყველაფრისათვის, რაც ყრილობაზე და საერთოდ მთელ რესპუბლიკაში ხდება, ისინი მზად არიან შეასრულონ ყველა ამოცანა, რომლებსაც ჩვენი ყრილობა დასახავს.

მაგრამ ჩვენს პარტიაში ადამიანებისადმი ნდობა და პატივისცემა ეხამება მაფდარი ჯრნაციპულ. ბომეხოვნელობას. საქმიანი, ამხანაგური ვითარება კი არ უპირისპირდება, არამედ გულისხმობს საკუთარი თავისა და პარტიულ კოლექტივში საქმეებისათვის. დიდ პასუხისმგებლობას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის — ჩვენი საზოგადოების მამოძრავებელი ძალის ფართო განვითარებას.

ჩვენს ყრილობაზე ბევრი ამხანაგი სერიოზულად და პირფთვნელად გააკრიტიკეს. და უნდა ითქვას, რომ აუდიტორიის ამ ნაწილს სხვანაირი სახის ვამოქმედყველება აქვს. იგრძნობა, რომ ისინი დიდად შეწუხებული, შეშფოთებული არიან და ძლიერ განიცდიან გაკრიტიკებას. ბუნებრივია ამ საბეებზე სიხარული არ არის გამოხატული, მაგრამ ვერც გაბოროტებას ვამჩნევთ.

ამრიგად, დარბაზში გულგრილი არავინ არ ყოფილა. ეს კი ყველაზე მთავარია. დაე ეს ამის საწინდარი იყოს, რომ რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაცია დაირაზმება მტკიცე იერიშისათვის გულგრილობის, საერთოდ გულარხეინობის, ობივატელური უსულგულობის წინააღმდეგ.

რახან სიტყვა კრიტიკაზე ჩამოვარდა, უნდა შეგახსენოთ, რომ კრიტიკა სხვადასხვანაირია ხოლმე. არის ღვარძლიანი კრიტიკა. მას გადაჭრით უარვყოფთ. არის კეთილმოსურნე, კეთილშობილური კრიტიკა. ჩვენ ასეთი კრიტიკის მომხრე ვართ. და, ალბათ, ეს საერთო აზრია, რომ ჩვენს ყრილობაზე არ ყოფილა ღვარძლიანი კრიტიკა. ეს კი მოწმობს ჩვენი კადრების პოლიტიკურ ტაქტს, თავდაჭერილობას, ორატორთა კეთილშობილებას.

მაგრამ კეთილშობილური კრიტიკაც არის ხოლმე მკაცრი და ბასრი. კეთილშობილება უპირველიკობას როდი ნიშნავს.

კეთილშობილურად გაკრიტიკება ეხოლოდ კეთილშობილ კაცს შეუძლია. თუ ეს თეზისი სწორია, არ უნდა დავივიწყოთ ის კაცის განცდებიც, ვინც აკრიტიკეს. და ეს განცდები ნაკლები კი არა, ზოგჯერ უფრო მეტია, ვიდრე გაკრიტიკებული ამხანაგისა. ეს ყოველივე ასეა, თუ გაკრიტიკებელი ეუმჰარტი კომუნისტია. ვინ იცის, რამდენი ღამე თეთრად გათენებია, სანამ გააკრიტიკებდა, რა შინაგანი ბრძოლა გადახდენია, მე ვიტყოდი, რა მამაცობა, ფიცი, სწორედ მამაცობა გამოუჩენია, რადგან უფრო ხელსაყრელია, უფრო მშვიდად ვრძნობ თავს, როცა ჩრდილში რჩები, არ ვამთქვამ ამკარად შენს აზრს და თანაც, კეთილ, კარგ კაცად ჩანხარ. მაგრამ საზოგადოების ინტერესები მოითხოვს ისეთ მამაცობას, და კომუნისტიც არ ერიდება ამას, თუმცა სულიერ სიმშვიდეს კარგავს, ხმაც უკანკალებს, გულიც გაუმშვა.

ყოველივე ამას ითქმის ვამბობთ, რომ ადამიანებმა, რომლებიც ამ დღეებში გააკრიტიკეს, უნდა შეიგნონ, რომ მტრები კი არა, მეგობრები აკრიტიკეს, აკრიტიკეს კეთილშობილი, კეთილმოსურნე ადამიანები, რომლებსაც უმაღლესად სიკეთე სურთ მთელი ჩვენი საზოგადოებისათვის და ყველაფერზე მაღლა საზოგადოებისა და პარტიის ინტერესებს აყენებენ.

ამიტომ იმათ, ვისაც დღეს აკრიტიკებენ გვინდა ეურჩიოთ: საჭირო არ არის მოკლენების დრამატიზაცია. თვითეულმა მათგანმა თვითონვე უნდა გამონახოს ძალა სიძნელეთა გადასალახავად, და ეგ ამაში მათ დაეხმაროს იმის შეგნება, რომ ასეთი ღონისძიებები საზოგადოების ინტერესებისათვის, საქმის ინტერესებისათვის ხორციელდება.

ჩვენ კვლავ და კვლავ უნდა განვავითაროთ კრიტიკა. **და თუ წინათ კრიტიკის მთელი პათოსი მიზნად ისახავდა წარსულის ყველა ნეგატიური მოვლენის გაბედულ და უკომპრომისო დაგმობას, ნამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ხერხიზულ ნაკლოვანებათა გამოვლინებას, ახლა კრიტიკის მთელი სიმძიმის ცენტრი, მთელი მისი პათოსი არსებულ ნაკლოვანებებზე უნდა გადავიტანოთ.** კრიტიკას თვისებრივად ახალი ხასიათი უნდა მიენიჭოს, და კრიტიკაში მეტი ხვედრითი წონა უნდა მოიპოვოს თვითკრიტიკამ, რადგან ის ნაკლოვანებები, რომლებიც ახლა არის, უკვე ჩვენი ნაკლოვანებებია, და ჩვენ თვითონ უნდა გამოვუცხადოთ მათ გადამწყვეტი ბრძოლა.

მაგრამ ვხედავთ ფაქტებს, როცა ზოგიერთ ხელმძღვანელ მუშაკს, საქალაქო და-რაიონული კომიტეტის მდივანს, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ჩაუდგნენ სათავეში პარტიულ ორგანიზაციებს, გულწრფელად უკვირთ, როცა მათ აკრიტიკებენ. მათ ჰგონიათ, რაკი ახალი დანიშნული ვართ, ვერ გაგვაკრიტიკებენო; მწარედ უნდა გავუცრუოთ იმედი. ეს სრულიადაც არ გახლავთ ასე! ჩვენთან, პარტიაში ყველა თანასწორია, და პარტიაში ერთნაირი, ყველასათვის ერთნაირი დისციპლინა გვაქვს. რაც შეეხება უკმაყოფილებას, რომელსაც ზოგიერთი პარტიული ხელმძღვანელი იჩენს გაკრიტიკების გამო, **ამის შესახებ უნდა ვთქვათ: ნაკლოვანებათა უარყოფა ჯერ კიდევ არ არის მათი აღმოფხვრის საუკეთესო საშუალება.** ეს ყველას უნდა ახსოვდეს!

როცა დელეგატები ყრილობაზე გამოთქმული იდეებისა და ფიქრების გამდიდრებული დაუბრუნდებიან თავიანთ პარტიულ ორგანიზაციებს, თავიანთ კოლექტივებს, თან ჩაიტანენ ყრილობის საფიქრალისა და პრობლემების თეალ მარაგს. მტკიცე რწმენით შეგიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ავტონომიური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში კომუნისტები, რომლებიც ყრილობის მონაწილეებს მოუსმენენ და ყრილობაზე შემოუვლიათ კოლექტიურ გამოცდილებას გაიცნობიერ, კლავ დარწმუნდებიან, **რომ პარტიის ხელმძღვანელ როლს ახრულებენ კომპეტენტური, მაღალიდეური, ჭკვიანი, უმაღლესი ინტელექტუალური კატეგორიებით მოაზროვნე ადამიანები, რომ პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობა მტკიცე, საიმედო ალლშია.** ამაა კი ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

როცა განვითარებული სოციალიზმისა და კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პირობაში პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერების პირობებში პარტიული კადრების აღზრდაზე ვლაპარაკობთ, ამასთანავე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერება სრულიადაც არ ნიშნავს სახელმწიფო ორგანოების როლის შემცირებას. პირიქით, **პარტიის ხელმძღვანელი როლის გაძლიერებასთან ერთად სულ უფრო უნდა იზრდებოდეს სახელმწიფო, სახმოთა და სამეურნეო ორგანოების პასუხისმგებლობა.**

ამრიგად, ერთ-ერთი დასკვნა, რომელიც პარტიის ყრილობის მუშაობიდან უნდა გამოვიტანოთ, ის არის, რომ პარტიული ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებასთან, სახალხო მეურნეობის, ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში ამ ხელმძღვანელობის კომპეტენტურობისა და კვალიფიციურობის ამაღლებასთან ერთად სულ უფრო მეტად უნდა სრულყოთ მმართველობის საბჭოთა, სამეურნეო, სახელმწიფოებრივი ორგანოების საქმიანობა, ადამიანებთან მათი ყოველდღიური მუშაობა.

ერთ-ერთ ჩვენს პლენუმზე უკვე ვთქვით და დღეს საჭიროდ მიგვაჩნია კვლავ მიგაჯაროთ თქვენი ყურადღება იმას, თუ რი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი საბჭოთა, საგვგმო, სატინანსო ორგანოების მუშაობის სრულყოფის საკითხებს, როგორ იღვწოდა მთელი სახელმწიფო აპარატის მწყობრი, შეთანხმებული მუშაობისათვის. დიდი ბელადი მისთვის ჩვეული სიორმით სწვდებოდა საქმის ყველა მხარეს, განსაკუთრებით ზედმიწევნით და გულდასმით ეჩერებოდა სახკომსაბჭოს, შრომისა და თავდაცვის საბჭოს, სახკომსაბჭოს საქმეთა სამმართველოს მუშაობის უმცირეს დეტალებში, ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ უნდა გარდაექმნათ მუშაობისნი.

1922 წელს ვ. ი. ლენინი წერდა: „...აუცილებელია გაცილებით უფრო ზუსტად განისაზღვროს პარტიისა (და მისი (კ. კ-ის) და საბჭოთა ხელისუფლების ფუნქციები; გავადიდოთ საბჭოთა მუშაკებისა და საბჭოთა დაწესებულებების პასუხისმგებლობა, და დამოუკიდებლობა, ხოლო პარტიას დავუტოვოთ ყველა საბჭოთა ორგანოს მუშაობის საერთო ხელმძღვანელობა, ისე. რომ არ ხდებოდეს, როგორც ახლა ხდება, მეტისმეტად ხშირი... წვრილმანი ჩარევა".

ამავე დროს ვ. ი. ლენინი ამუშავებს მოადგილეთა (სახკომსაბჭოს და შრომისა და თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეთა) მუშაობის შესახებ დადგენილების პროექტს, ხოლო ერთი თვის შემდეგ ხელს აწერს ამ დადგენილებას, რომლის პირველსაე პუნქტში ნათქვამია, რომ მოადგილეთა ძირითადი მიზანია, რომელის გამოც ისინი სპეციალურად აგენენ პასუხს და რომელსაც უნდა ემორჩილებოდეს ყოველივე დანარჩენი, ეს არის დეკრეტთა, კანონთა და დადგენილებათა თანმეფური შესრულების შემოწმება, საბჭოთა დაწესებულებებში საქმის წარმოების მოწესრიგებისა და გამარტივებისადმი მეთვალყურეობა, ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების წინააღმდეგ ბრძოლა. აქვე არის განსაზღვრული მოადგილეთა ზოგადი და ძირითადი დავალებები. სპეციალური საკითხები, რომლებიც მოადგილეთა მუშაობას ეხება, მოადგილეთა მუშაობის წესი, მათი აპარატის ფუნქციები, ლაპარაკია ორივე მოადგილის მუშაობის ერთიანობაზე და თვით მოადგილეთა შორის მუშაობის განაწილებაზე.

ჩვენ კი, სამწუხაროდ, ეს წვრილმანი საკითხები გვგონია და უყურადღებოდ ვტოვებთ, ხოლო რაც შეეხება ბიუროკრატიზმსა და საქმის გაჭიანურებას, დღემდე ვერც რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, ვერც სამინისტროებსა და უწყებებს, ვერც პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ვერა და ვერ დაუძლეიათ ეს სენი. ეს, როგორც ჩანს, იმიტომ ხდება, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არიან პასუხისმგებელი მუშაკები, ხელმძღვანელი კადრები, ადამიანები, რომლებსაც დიდი პოსტები უკავიათ, და ძალიან ეშვიათად მიმართავენ ლენინის ამ წაშრომებს, ისევე როგორც ლენინის მთელ მეკვიდრეობას, ვლადიმერ ილიას-ძის უკანასკნელ წერილებსა და სტატიებს, რომლებიც ბელადის პოლიტიკური ანდერძია თავისი პარტიისადმი. ეს სტატიები, ეს წერილები, ისევე როგორც ლენინის ყველა ფასდაუდებელი ქმნილება, დღესაც ცოცხალია, ახლაც ან დაუპარგის აქტუალობა და სიმძლეე. ლენინის ქმნილებებმა უნდა შეგვმატოს ორიენტირების ძალა, უნარი სწრაფად, ოპერატიულად ეიღებდეთ სამმართველო გადაწყვეტილებებს, მოვეჭიდოთ მთავარს, მუშაობის ძირითად რგოლს.

ჩვენ ყოველნაირად უნდა ავამაღლოთ საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა, გავაფართოოთ მათი პოლიტიკური ჰორიზონტი, უფრო მეტად ვიზრუნოთ მათი ეკონომიური ცოდნის შევსებისათვის, ვასწავლოთ ადამიანებთან მუშაობა, აღვზარდოთ ისინი ლენინის დიადი ანდერძის, ლენინის დიდი მემკვიდრეობის სიფუძეელზე, რომელიც ასე მკაფიოდ, ასე სრულად, ასე მნიშვნელოვნად ვითარდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს მთელ ეკონომიურ, სოციალურ, ორგანიზაციულ და პოლიტიკურ მუშაობაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის მიზანმიმართულ, დაუცხრომელ, დაძაბულ მოღვაწეობაში.

ახლა ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ყრილობის სულისკვეთება და შინაარსი გავაცნოთ უფროროს პარტიულ მასას, რესპუბლიკის ყველა მშრომელს. ხოლო რაც უფრო სწრაფად და უკეთ შევიარაღდებით ყრილობის გადაწყვეტილებებით, მით უფრო სრულად, მით უფრო წარმატებით განვახორციელებთ ახალ, კიდევ უფრო რთულ და პასუხსაგებ ამოცანებს მეათე ხუთწლეულში, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლეულში.

რამდენადაც პარტიისა და მთელი პარტიული მუშაობის ყურადღების ცენტრში ადამიანია, — ჩვენი მთავარი საზრუნავია ადამიანი, მისი საჭირობები, მისი მოთხოვნილებების ყველაზე სრული დაკმაყოფილება, მისი კეთილდღეობის გაუმჯობესება. მისი კეთილდღეობის საფუძველი კი ეკონომიკაა: ეს ბევრჯელის მუდამ გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითება, რომ ეკონომიკა ჩვენი ყველაზე მთავარი, ყველაზე სასინტერესო, ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკაა.

ჩვენმა ყრილობამ ცხადყო, რომ დელეგატებს, რესპუბლიკის მთელ პარტიულ ორგანიზაციას ღრმად ესმით ამ ლენინური მითითების მნიშვნელობა. იგი ეკონომიკის პრობლემების, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების პერსპექტივების ღრმა ცოდნის თავისებური დემონსტრაცია გახდა. მხოლოდ და მხოლოდ ამ საფუძველზე, ამ მტკიცე საძირკველზე თუ მიეყრდეთ ხალხის კეთილდღეობის, ადამიანთა ბედნიერებას, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის აყვავებას.

აი რატომ არის საჭირო, რომ **ძალ-ღონე არ დაეზოგოთ და უზრუნველყოთ უწინარეს ყოვლისა, მეათე ხუთწლეულის პირველი წლის, მისი პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის უთუო შესრულება.**

ჩვენი ყრილობის ბახსნის დღეს გაზეთებში გამოქვეყნდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის, 1976 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ". ეს, რა თქმა უნდა, ბოლოთვალსაჩინებელი, მაგრამ ამავე დროს მეტად ღირსშესანიშნავი დამთხვევაა. დაე ეს ბამის საწინდარი იყოს, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში ნაკისრ ყველა ვალდებულებას წარმატებით და პირნათლად შეასრულებთ!

ახლა ერთხელ კიდევ უნდა გადავსინჯოთ, დავაზუსტოთ ეს ვალდებულებები, შეეფუსაბამოთ ისინი იმ ამოცანებს, რომელსაც განსაზღვრავს სკკპ XXV ყრილობა, და შემდეგ მივიღოთ პარტიულ-სამეურნეო აქტიური რესპუბლიკურ კრებაზე სახალხო მეურნეობის მოწინავეთა მონაწილეობით.

საქართველოს მშრომელები აქტიურად უნდა მონაწილეობდნენ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, რომელიც გაჩაღდა ლენინურით: „ავამაღლოთ წარმოების ეფექტიანობა და მუშაობის ხარისხი ეკონომიკის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის!", მიეაღწიოთ სულ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს, რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის კიდევ უფრო მეტ აღმავლობას. შემხვედრმა გეგმებმა, ახალმა, გაღიდებულმა ვალდებულებებმა — ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს ხუთწლიან ვალდებულებათა უთუო, მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება.

ეს მომრთობა იზრდება და ფაროთოდება. მუშათა კოლექტივებში უმაგალითო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. მეტალურგები და მანქანათმშენებლები, მაღაროელები და ქიმიკოსები, მშენებლები და რკინიგზელები, მეცხოველეები და მექანიზატორები დადგნენ სკკპ XXV ყრილობის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე. უკვე მოგვდის ცნობები პირველი წარმატებების, ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის ყველგან გამოლილი ბრძოლის შესახებ. მარტო საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ ოთხასამდე შრომითი პატაკი მიიღო: მუშათა კოლექტივები ყრილობას მოახსენებდნენ საწარმოო წარმატებებსა და შრომითს გამარჯვებებს, რომლებიც ყრილობისწინა დღეებში მოიპოვეს.

ყრილობაზე გამოსულებმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ როცა ადამიანს ნათლად აქვს წარმოდგენილი მიზანი, შემოქმედებითად უდგება საქმეს, ზუსტად განსაზღვრავს თავის ადგილს საერთო მუყაობაში, გრძნობს, რომ არის ცხოვრების ნამდვილი ბატონ-პატრონი, მაშინ იგი გამრჯედ, შემოქმედებითად, ეონიერულად, ბულიანად შრომობს. მისთვის მარტო შრომის საბოლოო შედეგი კი არ არის მნიშვნელოვანი. არამედ გზებიც, რომლითაც ამ შედეგებს ვაღწევთ. ეს გზები კი განსაზღვრა პარტიამ: მეტი, უკეთესი ხარისხის პროდუქცია, უმცირესი დანახარჯები!

ამიტომ ყოველნაირად უნდა ვიყენებდეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შეძენილ გამოცდილებას და დღენადაგ ვუღვივებდეთ ადამიანებს ამ ბატონ-პატრონის გრძნობას, საქმისადმი შემოქმედებითს დამოკიდებულებას, ეზრდიდეთ მათ კონკრეტული, ცხოვრებისეული მაგალითებით. მხარს უჭერდნენ საქმიან წინადადებას, ახორციელებდნენ მას, მკაცრ კონტროლს უწევდნენ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებას, საქმით და არა სიტყვით იჩენდნენ პრინციპულობას, — ეი რისთვის უნდა იღწოდნენ პარტიული

კამათი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ზ. ა. პაჭარიძის მოხსენების გამო

ამხ. მ. ა. ცისკარიშვილის სიტყვა

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის სამმართველოს უფროსი

ბანვლილ ხუთწლეულში დამთავრდა ენგურის კასკადის ოთხივე გარდხილი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა და ამუშავდა 340 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ცხრა აგრეგატი.

შარშან ნოემბერში ჰიდროშენებლებმა დაამთავრეს სამუშაოები და საექსპლოატაციოდ გადასცეს გალის წყალსაცავში მდინარე ენგურის ჩამონადენის ნაწილის გადასაგდები ჰიდროტექნიკური ნაგებობათა რთული კომპლექსი, რაც შესაძლებელს გახდის მკვეთრად გაიზარდოს ენგურის კასკადის ოთხივე სადგურში ელექტროენერგიის გამომუშავება და წელიწადში დაახლოებით 700 მილიონ კილოვატსაათს მიაღწიოს.

ჰიდროშენებლებმა ეს შრომითი საჩუქარი საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, სკკპ XXV ყრილობას მიუძღვნეს.

ხუთწლედის პირველ ორ წელიწადში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმებსა და სხვა გეგმებს ვერ ვასრულებდით. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღებით განიხილა შექმნილი მდგომარეობა. ჩვენი მუშაობა მუშავედ და სამართლიანად გააკრიტიკეს.

სახელმწიფო და საეკონომიკო დისციპლინის განმტკიცებისათვის განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად საქმის მდგომარეობა უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მკვეთრად შეიცვალა. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები სრულდება, უზრუნველყოფილია 15 პროცენტით ყოველწლიური ზრდა. შრომის ნაყოფიერება ამ პერიოდში გაიზარდა 48 პროცენტით, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ეკონომიური მაჩვენებლები.

1975 წლის მუშაობის შედეგების შესაბამისად სამმართველომ ხუთწლეულის მანძილზე პირველად შეასრულა მოგების გეგმა. მშენებლობის მუშაკთა სამუალო ხელფასი 13 პროცენტით გაიზარდა, ფონდუჭუგება ერთთორად და მეტად გადიდდა.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლები და მემონტაჟეები დიდი პასუხისმგებლობით წყვეტენ სამუშაოთა ხარისხის შედგომი გაუმჯობესების საკითხებს. მეათე ხუთწლედი გამოცხადებულია ეფექტიანობის ხუთწლედად, ხარისხის ხუთწლედად და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამუშაოები მჭოლოდ მაღალ დონეზე სრულდებოდეს.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სრულდება საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებიც. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ხორციელდება მშენებლობის მშრომელთა სამინაო პირობების, სავაჭრო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებები.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივის წინაშე უაღრესად რთული ამოცანა დგას. კასკადის ძირითადი საფეხურის პირველი აგრეგატის გაშვებამდე დარჩენილ ორ წელიწადში კოლექტივმა 116 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულოს, აქედან 1976 წელს — 46 მილიონი მანეთისა. უნდა ჩავსხსნათ 1.700 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, აქედან თაღოვან კაშხალში — 1.200 ათასი კუბური მეტრი, გვიყვანთ 360 ათასი კუბური მეტრი გვირაბი, დავამონტაჟოთ 37 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები, 10 ათასი ტონა ჰიდროძალური მოწყობილობა, ვაწარმოოთ 660 ათასი გრძივი მეტრი სამაგრი და 490 ათასი კვადრატული მეტრი შემვსები ცემენტაცია.

წლეულს უნდა დამთავრდეს სადერივაციო გვირაბის, საწნეო-სადაგდური კვანძისა და გადამგდები გვირაბის კლდის მთელი სამუშაოები. ამ ხნის მანძილზე თაღოვანი კაშხალის სხეულში უნდა ჩაისხას 450 ათასი კუბური მეტრი ცემენტი.

ამავე დროს, მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა საკითხი როდი წყდება ოპერატიულად და დროულად. სისტემატურად ფერხდება ლითონკონსტრუქციების, ხე-ტყის მასალის, მოწყობილობისა და შექანიზმების მოწოდება.

დღემდე სრული სიმძლავრით არ არის გამოყენებული კაბელ-ამწეები და სამაგრო ბეტონი, გენერალური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თაღოვან კაშხალში ბეტონის ჩასხმას. მშენებლობას აკლია ექსკავატორები, რომლებიც უარრესად გვჭირდება სადერივაციო გვირაბის სამუშაოთა დროული დამთავრებისათვის.

მშენებლობის, პარტიული კომიტეტის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავს წარმოების ახალი რეზერვების გამოძებნას, სოციალისტური შეჯიბრების დონისა და ქმედითობის შემდგომ ამაღლებას. დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება საშუალებას მოგვცემს სადგურის ამუშავება უზრუნველყოფთ დადგენილ ვადებში.

ბევრი რამ კეთდება და კვლავაც გაკეთდება მშენებელთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და მათი მზარდი მატერიალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. კეთილმოწყობილი ხდება ჰიდროშენებელთა დასახლებანი, საექსპლოატაციოდ გადასაცემენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებს, სკოლებსა და კულტურის სახლებს.

ამ დიდ მუშაობაში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მრავალათასიანი ინტერნაციონალური კოლექტივი მუდამ გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს დახმარებას.

ენგურის უნიკალური ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა მთელი რესპუბლიკის ღირსების საქმეა.

ჩვენ ვთხოვთ მშენებლობის უზრუნველყოფაში უმუალოდ მონაწილე უწყებებისა და ორგანიზაციების, — მთავარმმართველების, „საქსოფლტექნიკის“, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის, რუსთავის ცემენტის ქარხნისა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, გაითვალისწინონ, რომ მშენებელთა საჭიროებებისადმი მათს ყურადღებაზე, საკითხთა დროულად და ზუსტ გადაწყვეტაზე და შეკვეთების შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წარმატებით დამთავრება.

მოვუწოდებთ თბილისის, ქუთაისის, რუსთავის დიდი ქარხნების ხელმძღვანელებს ლენინგრადელთა და კოსმოიარსკელთა მაგალითისამებრ, რომლებმაც შეფობა იკისრეს საიან-შუშენსკოეს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისადმი, ყოველნაირი დახმარება გაუწიონ ჩვენს მშენებლობას. არსებული რთული ტექნოლოგიური მოწყობილობის დეტალებისა და სათადარიგო ნაწილების დამზადებაში.

დასასრულ ორატორმა აღუთქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, რომ ენგურის ჰიდროშენებელნი მეათე ხუთწლედს გადაიქცევენ დამკვრელური შრომის ხუთწლედად, მთელ თავიანთ ძალ-ღონეს, ცოდნასა და გამოცდილებას მოახმარენ იმის, რომ „პირველი აგრეგატების გაშვება უზრუნველყონ 1977 წელს და კასკადის ძირითადი საფეხურის ხუთიანე აგრეგატის გაშვება — მეათე ხუთწლედის დამლევამდე, როგორც ამას თვალისწინეს „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა შესახებ“ პარტიის XXV ყრილობისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტი. (ტაში).

ამხ. გ. ი. ქაღაგიძის სიტყვა

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს უფროსი

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა მიმდინარეობს საყოველთაოსახალხო შრომითი და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში, რომელიც სკკპ მომავალი XXV ყრილობისათვის მზადებით არის გამოწვეული. როცა თვალს ვავლებთ გზას, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ განვლო წინა ხუთწლედში, დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავთ უდიდეს წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კომუნისტური შენებლობის ყველა უბანზე.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა, რომლებმაც სოციალისტური შეჯიბრება გაშალეს სკკპ XXV ყრილობის ღირსეული შეხვედრისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ფართოდ ფარულნი არსებული ჩამორჩენა და ახლა წარმატებით წყვეტენ სახალხო-სამეურნეო ამოცანებს.

სამეურნეო და კულტურული შენებლობის წარმატებათა მიღწევისათვის მშრომელთა ბრძოლაში თავისი წვლილი შეაქვს ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივსაც, რომელმაც ვადამდე, 24 დეკემბერს შესრულა 1975 წლისათვის დადგენილი დატვირთვის გეგმა, ხოლო მეცხრე ხუთწლედის გეგმა გაანაღდა დიდი ოქტომბრის 58-ე წლისთავისათვის. ამასთანავე, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ტვირთბრუნვის გეგმაც ტონა-კილომეტრობით. მეცხრე ხუთწლედის წლებში რკინიგზის კოლექტივმა 14-ჯერ დაიკავა სრულად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი და დაჯილდოდა გარდამავალი წითელი დროშით, კერძოდ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით.

აღნიშნულ მიღწევათა მიუხედავად, ჩვენ ეთხოვთ მშენებლობის უზრუნველყოფაში უმუალოდ მონაწილე უწყებებისა და ორგანიზაციების, — მთავარმმართველების, „საქსოფლტექნიკის“, „საქჰიდროენერგომშენის“ ტრესტის, რუსთავის ცემენტის ქარხნისა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, გაითვალისწინონ, რომ მშენებელთა საჭიროებებისადმი მათს ყურადღებაზე, საკითხთა დროულად და ზუსტ გადაწყვეტაზე და შეკვეთების შესრულებაზე ბევრადაა დამოკიდებული ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის წარმატებით დამთავრება.

ბევრი ამბავი ვიცოდ ბევრ ნაკლია, ამის გამოუყენებელი რეზერვები და გადაუჭრელი საკითხები. თუმცა ტვირთბრუნვის გეგმები გადაჭარბებით შესრულდა, სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებებს ტვირთბიდვაზე ჯერ კიდევ ვერ ვაკმაყოფილებთ მოლანად. ასეთ პირობებში, შენიშვნელოვანესი ამოცანაა გულისხმიერად მოვეკიდოთ სავაგონო პარკს, რაც შეიძლება მომეტებულად გამოვიყენოთ იგი. აქ რკინიგზელებს დიდი რეზერვები აქვთ. მოსკოვის რკინიგზის ლუბლინოს სახარისხებელი სადგურის მუშაობის ორგანიზაციის მოწინავე გზმოცდილება ჯერ კიდევ ნელა ინერგება. ჩვენ გავშალეთ მუშაობა დატვირთულ ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ბრუნვის დაჩქარებისათვის. ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო საწარმოთა სატრანსპორტო საამქროების მუშაობას. განვლილ 6 წელიწადში ვაგონების მოცდენა მისასვლელ გზებზე კი არ შემცირდა, პირიქით გაიზარდა. ეს ძირითადად იმით აიხსნება, რომ სამრეწველო საწარმოები რიტმულად არ მუშაობენ ტვირთის დატვირთვა-გადმოტვირთვაზე.

სამრეწველო საწარმოთა ბევრი ხელმძღვანელის აზრით, სატრანსპორტო საამქროები მეორეხარისხოვანია, და ამიტომ ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ მათს განვითარებასა და აღჭურვას. ამასთანავე რესპუბლიკაში არის საწარმოები, სადაც ამ საკითხს დიდი ყურადღება ეთმობა, და ისინი სისტემატურად გამარჯვებულნი გამოდიან ვაგონების გამოყენების საუკეთესო შედეგების მიღწევისათვის სტრანსპორტო საამქროთა შეჯიბრებაში. ასეთი საწარმოებია ჭიათურის მანგანუმის ტრესტი, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და ზოგიერთი სხვა საწარმო. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი რიცხვი ცოტაა. უმრავლესობა ჩამორჩენა, და მათ შორის ერთ-ერთ ადგილზეა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ბევრი ამბავი ვიცოდ ბევრ ნაკლია, ამის გამოუყენებელი რეზერვები და გადაუჭრელი საკითხები. ეფექტიანობის ხუთწლედად, ხარისხის ხუთწლედად და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ, რათა სამუშაოები მჭოლოდ მაღალ დონეზე სრულდებოდეს.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე სრულდება საცხოვრებელი სახლების, სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმებიც. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ხორციელდება მშენებლობის მშრომელთა სამინაო პირობების, სავაჭრო სამედიცინო და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების ღონისძიებები.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა კოლექტივის წინაშე უაღრესად რთული ამოცანა დგას. კასკადის ძირითადი საფეხურის პირველი აგრეგატის გაშვებამდე დარჩენილ ორ წელიწადში კოლექტივმა 116 მილიონი მანეთის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები უნდა შესრულოს, აქედან 1976 წელს — 46 მილიონი მანეთისა. უნდა ჩავსხსნათ 1.700 ათასი კუბური მეტრი ბეტონი, აქედან თაღოვან კაშხალში — 1.200 ათასი კუბური მეტრი, გვიყვანთ 360 ათასი კუბური მეტრი გვირაბი, დავამონტაჟოთ 37 ათასი ტონა ლითონკონსტრუქციები, 10 ათასი ტონა ჰიდროძალური მოწყობილობა, ვაწარმოოთ 660 ათასი გრძივი მეტრი სამაგრი და 490 ათასი კვადრატული მეტრი შემვსები ცემენტაცია.

წლეულს უნდა დამთავრდეს სადერივაციო გვირაბის, საწნეო-სადაგდური კვანძისა და გადამგდები გვირაბის კლდის მთელი სამუშაოები. ამ ხნის მანძილზე თაღოვანი კაშხალის სხეულში უნდა ჩაისხას 450 ათასი კუბური მეტრი ცემენტი.

ამავე დროს, მშენებლობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ყველა საკითხი როდი წყდება ოპერატიულად და დროულად. სისტემატურად ფერხდება ლითონკონსტრუქციების, ხე-ტყის მასალის, მოწყობილობისა და შექანიზმების მოწოდება.

დღემდე სრული სიმძლავრით არ არის გამოყენებული კაბელ-ამწეები და სამაგრო ბეტონი, გენერალური მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს თაღოვან კაშხალში ბეტონის ჩასხმას. მშენებლობას აკლია ექსკავატორები, რომლებიც უარრესად გვჭირდება სადერივაციო გვირაბის სამუშაოთა დროული დამთავრებისათვის.

მშენებლობის, პარტიული კომიტეტის, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელობის ორგანიზატორული მუშაობა მიზნად ისახავს წარმოების ახალი რეზერვების გამოძებნას, სოციალისტური შეჯიბრების დონისა და ქმედითობის შემდგომ ამაღლებას. დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის განხორციელება საშუალებას მოგვცემს სადგურის ამუშავება უზრუნველყოფთ დადგენილ ვადებში.

ბევრი რამ კეთდება და კვლავაც გაკეთდება მშენებელთა ცხოვრების დონის ამაღლებისა და მათი მზარდი მატერიალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. კეთილმოწყობილი ხდება ჰიდროშენებელთა დასახლებანი, საექსპლოატაციოდ გადასაცემენ ახალ საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო და სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებებს, სკოლებსა და კულტურის სახლებს.

ამ დიდ მუშაობაში ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელთა მრავალათასიანი ინტერნაციონალური კოლექტივი მუდამ გრძნობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს დახმარებას. (ტაში).

გამოსვლები იბეჭდება შემოკლებით.

მსოფლიოს ამბები

მეგობრულ ვითარებაში

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის საბჭოთა კავშირში ვიზიტის შესახებ

27-28 იანვარს გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს მოლაპარაკება პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთან, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრთან ს. ოლშოვსკისთან, რომელიც მეგობრული ვიზიტით არის მოსკოვში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი სრული ურთიერთგაგებისა და შეხედულებათა ერთიანობის სულისკვეთებით გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება ორმხრივი ურთიერთობის ზოგიერთ საკითხსა და აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებზე.

მხარეებმა გამოთქვეს დიდი კმაყოფილება იმის გამო, რომ განუწყვეტლივ მტკიცდება სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობა და ყოველმხრივი თანამშრომლობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის, საბჭოთა და პოლონელი ხალხების ძმობის შემდგომი გაღრმავების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია, ხაზი გაუსვეს მათ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის შეხვედრები და საუბრები პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ედვარდ გიერეკთან.

ხაზგასმით აღინიშნა ვარშავის ხელშეკრულების დიდმნიშვნელოვანი როლი ამ ხელშეკრულებით გაერთიანებული სახელმწიფოების ხალხთა მშვიდობიანი შრომისათვის ხელშეწყობი საგარეო პირობების უზრუნველყოფაში.

მოლაპარაკების დროს მხარეებმა დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთშოქმედება მსოფლიო ასპარეზზე, კერძოდ, იმ საკითხებში, რომლებიც ეხება ევროპის უშიშროებას, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას ბალანსის გაღრმავებას, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებას.

მოლაპარაკებამ ამხანაგურ, გულიანად აღმოსფერეში ჩაიარა.

□

ᲛᲝᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲓᲐ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა სსრ კავშირის დელეგაცია, რათა განაგრძოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკოს მოადგილემ ვ. ს. სემონოვმა ჟენევაში ჩამოსვლისას განაცხადა:

სსრ კავშირის დელეგაცია ჟენევაში ჩამოვიდა, რათა განაგრძოს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციასთან ვლადივოსტოკში უმაღლეს დონეზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ ახალი შეთანხმების შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების გამო.

სსრ კავშირის დელეგაციას აქვს ინსტრუქციები განაგრძოს განხილვა საქმიანი სულისკვეთებით ურთიერთმისაღებ გადაწყვეტილებათა ძიების მიზნით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევისა და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანთან ჰ. კისინჯერთან მოლაპარაკების კონსტრუქციული შედეგების შესაბამისად.

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 28 იანვარი. (საკდესი). დღეს აქ განახლდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

ᲡᲝᲤᲘᲐ, 27-28 იანვარს აქ გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა დღის წესრიგი ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობისათვის, რომელიც იხსნება 29 მარტს. საანგარიშო მოხსენებას პარტიის X და XI ყრილობებს შორის პერიოდში ცენტრალური კომიტეტის საქმიანობისა და კომუნისტთა მომავალი ამოცანების შესახებ ყრილობაზე გააკეთებს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი. ყრილობის დღის წესრიგშია აგრეთვე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიში და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1976-1980 წლების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დირექტივების დამტკიცება. განსაზღვრება ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის დელეგატთა არჩევნების წესი და წარმომადგენლობის ნორმება.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები მეშვიდე ხუთწლედის წლებში (1971-1980 წლებში). და 1990 წლამდე პერიოდში 1972 წლის დეკემბერში მიღებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამის შემდგომი შესრულების შესახებ; თეზისები ბულგარეთის კომპარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების განვითარების შესახებ და ზოგიერთი ორგანიზაციული საკითხი.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲑᲭᲝᲣᲠᲘ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, (საკდესი). ინგლისის კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელები განაგრძობენ გაფორეტული კამპანიას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკისა და სსრ კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობის პოზიტიური განვითარების წინააღმდეგ.

როგორც უკვე ვიუწყებოდით, ასეთ კამპანიას დასაბამი მისცა ამ პარტიის ლიდერმა მ. ტეტჩერმა, რომელიც ლონდონში ახლახან გამართულ კონსერვატორთა მიტინგზე ცილისწამებულურად ამტკიცებდა, თითქოს დიდ ბრიტანეთს „ემუქრებოდეს“ საბჭოთა კავშირი და მითითებდა, რომ „აღადგინონ ინგლისის წამყვანი როლი“ „ცივ ომში“ სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ.

მიუხედავად იმისა, რომ ეს მტკიცებანი მკაცრად დაწმეს თვალსაჩინო ინგლისელმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა და პრესის მთელმა რიგმა ორგანოებმა, კონსერვატორთა ხელმძღვანელები არ ცხრებიან. ერთ-ერთმა მათგანმა — რ. მოდლინგმა, რომელიც კონსერვატორთა „სათადარიგო კაბინეტში“ ასრულებს საგარეო საქმეთა მინისტრის ფუნქციებს, მხარი დაუჭირა ღვარძლიან მონაჭორს, თითქოს საბჭოთა კავშირი

ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲔᲑᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

ᲙᲐᲓᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲔᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲙᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲔᲑᲘ ᲘᲗᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲙᲝᲚᲝᲜᲘᲐ?!.

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

□

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ. (საკდესი). სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ი. ა. მალიკმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს კ. ვალდჰაიმს გაუგზავნა წერილი, რომელშიც კატეგორიულად უარყოფს ზაირის წარმომადგენლობის მონაწილეობას საბჭოთა კავშირის მიმართ, თითქოს სსრ კავშირს ანგოლის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე მიემართოს რაღაც არამეგობრული მოქმედებისათვის, რომელიც საფრთხეს უქმნის ზაირის. წერილში აღნიშნულია, რომ ეს მტკიცებანი მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. ყველასათვის კარგად ცნობილია სსრ კავშირის პოზიცია ანგოლის საკითხში. ჩვენ გვინდა შეგახსენოთ, რომ არც ერთი საბჭოთა ადამიანი იარაღით ხელში არ იბრძვის ანგოლის მიწაწყალზე, ამიტომ არ შეიძლება არ გაგვიკვირდეს იმან, რომ ზაირის წარმომადგენლობა სრულიად დაუსაბუთებლად ამტკიცებს, თითქოს ანგოლაში რაღაც მითიური „საბჭოთა ჯარები“ იყვნენ.

სინამდვილეში, ნათქვამია წერილში, ანგოლის სახალხო რესპუბლიკის წინაალმდეგ ხორციელდება, და ეს კარგად არის ცნობილი მთელი მსოფლიოსათვის, სამხრეთამერიკელი რასისტებისა და სხვადასხვა ჯურის დაქირავებული ავანტიურისტების რაზმების შეიარაღებული ინტერვენცია, რომელსაც მხარს უჭერენ იმპერიალისტური და პრომპერიალისტური ძალები. არავისათვის საიდუმლო არ არის, რომ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჯარები და დაქირავებულთა ბანდები ცდილობენ აღადგინონ ანგოლაში ძველი კოლონიური წყობილება.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნულია შემდეგ წერილში, თავისი პრინციპული პოლიტიკური ხაზის საფუძველზე, მორალურ და მატერიალურ მხარდაჭერას უწევდა და უწევს ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლას თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რაც სავსებით შეესაბამება, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ისე აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გადაწყვეტილებებს დეკოლონიზაციის საკითხებზე. ეს მთლიანად ეხება ანგოლის სახალხო რესპუბლიკასაც.

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ, (საკდესი). ესპანეთის მთავრობის თავმჯდომარე კარლოს არიას ნავარო გამოვიდა ესპანეთის კორტესების (პარლამენტის) საგანგებო სხვიაზე. მთავრობას, თქვა მან, შეგნებული აქვს ესპანეთში დაწყებული ახალი ეტაპის სიძნელეები და „ზოგიერთი გარდაქმნის“ განხორციელების აუცილებლობა.

შეეხო რა ქვეყნის უკანასკნელ ამბებს, რომლებიც აღინიშნა სავაფიცეო მორიგების მკვეთრი გაძლიერებით და მშრომელთა ბრძოლით ძირეული დემოკრატიული გარდაქმნებისათვის, არიას ნავარომ განაცხადა, რომ ხელისუფალნი ვერ ასრულებს სრულიად ევროპის თანმიერის გადაწყვეტილებებს და „ძირგამომთხრელ სამეგანობას“ ეწეოდეს „დასავლეთის სამყაროს“ წინააღმდეგ.

მორიგი ანტისაბჭოური საქციელი ჩადინა თვით ტეტჩერმაც. თემთა პალატაში მან ლეიბორისტულ მთავრობას მოსთხოვა „მხარი დაუჭიროს ინგლისის ქმედითს თავდაცვას“ „საბჭოთა საფრთხის“ წინააღმდეგ, რაც აქ მიაჩნიათ მოწოდებად დიდ ბრიტანეთში გამალებული შეიარაღების გაძლიერებისათვის.

უპასუხა რა ოპოზიციის ლიდერს, პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა მ. ტეტჩერის განცხადებას „მოულოდნელი“ უწოდა და გამოთქვა იმედი, რომ „რეალისტურად განწყობილი საბჭოთა კავშირი“ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ მიანიჭებს ამ გამოსვლას.

ᲘᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲚᲝᲪᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲡ ᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲡ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, (საკდესი). ინგლისის კონსერვატიული პარტიის ხელმძღვანელები განაგრძობენ გაფორეტულ კამპანიას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოლიტიკისა და სსრ კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის ურთიერთობის პოზიტიური განვითარების წინააღმდეგ.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ, 27-28 იანვარს აქ გაიმართა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი.

პლენუმმა დაამტკიცა დღის წესრიგი ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობისათვის, რომელიც იხსნება 29 მარტს. საანგარიშო მოხსენებას პარტიის X და XI ყრილობებს შორის პერიოდში ცენტრალური კომიტეტის საქმიანობისა და კომუნისტთა მომავალი ამოცანების შესახებ ყრილობაზე გააკეთებს ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ტ. ჟივკოვი. ყრილობის დღის წესრიგშია აგრეთვე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური საკონტროლო-სარევიზიო კომისიის ანგარიში და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1976-1980 წლების სოციალურ-ეკონომიური განვითარების დირექტივების დამტკიცება. განსაზღვრება ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის დელეგატთა არჩევნების წესი და წარმომადგენლობის ნორმება.

პლენუმის მონაწილეებმა განიხილეს აგრეთვე ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თეზისები მეშვიდე ხუთწლედის წლებში (1971-1980 წლებში). და 1990 წლამდე პერიოდში 1972 წლის დეკემბერში მიღებული ხალხის ცხოვრების დონის ამაღლების პროგრამის შემდგომი შესრულების შესახებ; თეზისები ბულ

ბრძოლაში დაფერფლილი სიცოცხლე

ლ. ღოღობერიძის დაბადების 80 წლისთავი

„ამხ. ღოღობერიძე ჯაფარიძის მარჯვენა ხელი იყო და ბაქოს ორგანიზაციებში მუშაობდა როგორც მტკიცე კომუნისტი“ — ასე დახასიათა სერგო ორჯონიკიძემ საქართველოს კომპარტიის ბირველ ყრილობაზე ცნობილი პროფესიონალი რევოლუციონერი ლევან ღოღობერიძე, რომლის ხსოვნაც განუყოფლად არის დაკავშირებული ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის, ხალხთა მეგობრობისა და ძმური თანამშრომლობის განვითარებისათვის.

ლევან ღოღობერიძემ პროფესიონალი რევოლუციონერის ცხოვრების მაძიებ, მაგრამ საინტერესო გზა განვლო. გოჩაჯიხაიშის ქალდამა ქუთაისის რეალური სასწავლებელი დაამთავრა. შემდეგ პეტროგრადის პოლტექნიკუმში განაგრძო სწავლა. პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მეფის არმიაში გაიწვიეს და რუსეთ-თურქეთის ფრონტზე — ტრაპიზონის რაიონში გაგზავნეს. ჯარისკაცთა შორის აქტიური რევოლუციური პრაპაგანდისათვის დაამატიმრეს და დისციპლინარულ ბატალიონში გაამწესეს. სამხედრო ლაზარეთში მუშაობისას დაუახლოვდა ბოლშევიკთა ძველ გვარდიის სასახელო წარმომადგენელს ალიოშა ჯაფარიძეს, რომლის ხელმძღვანელობით ეზიარა ლენინის უკვდავ იდეებს, აქტიურად ჩაება ირალეგალურ რევოლუციურ მუშაობაში. მისივე რეკომენდაციით 1916 წელს 20 წლის ჭაბუკი ლენინის პარტიაში მიიღეს.

თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულმა რევოლუციამ ლ. ღოღობერიძეს ჯიბეზლიკაში მოუსწრო. ამ დროისთვის მას უკვე მოხვეჭილი ჰქონდა გამოცდილი პარტიული ხელმძღვანელის, მშრომელთა ინტერესების ერთგული დამცველის სახელი. ამიტომაც აირჩიეს იგი ჯიბეზლიკის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს პრეზიდიუმის წევრად და სახალხო განათლების განყოფილების გამგედ. 1917 წლის დამლევს ლ. ღოღობერიძე თბილისში ჩამოდის და მონაწილეობს ბოლშევიკური ორგანიზაციების მუშაობაში, თანამშრომლობს გაზეთში „კავკაზსკი რაბოჩი“.

სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლას პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი წარმართავდა. მისი წინადადებით ლ. ღოღობერიძე 1918 წლის თებერვალში ბაქოს გაემგზავრა, სადაც მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს. ბაქოში, ამ მნიშვნელოვან პროლეტარულ ცენტრსა და ინტერნაციონალურ ქალაქში გაიფურჩქნა ახალგაზრდა ბოლშევიკის რევოლუციური ტალანტი. იქვე დაუახლოვდა იგი კავკასიის ბოლშევიკთა აღიარებულ ლიდერს, გამოჩენილ პარტიულ მოღვაწეს და მარქსისტ-ლენინელს სტეფანე შაუმიანს, ცნობილ პროფესიონალ რევოლუციონერებს მეშადი აზიზბეკოვს, ივანე ფიოლეტოვს და სხვებს.

1918 წლის მარტში იგი ხელში იარაღმომარჯვებული იბრძოდა ბაქოს მუშათა მხარდამხარ.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ლ. ღოღობერიძე ს. შაუმიანისა და ა. ჯაფარიძის დავალებით თბილისში ჩამოვიდა, სადაც რამდენიმე დღე ბაყო. მან აქაური ბოლშევიკების ბაქოში შექმნილი მდგომარეობა გააცნო, პარტიულ ხელმძღვანელთა აზრი გაუზიარა. ბაქოში დაბრუნებისას ლ. ღოღობერიძე მთელი ენერგიით ებრძვა პარტიულ და საბჭოთა მუშაობაში, ნიშნავენ პარტიის ბაქოს კომიტეტის აგიტატორად, შემახისა და ყუბის მაზრების საგანგებო რწმუნებულად, ასრულებს პარტიული ორგანიზაციისა და ბაქოს საბჭოს მრავალ პასუხსაგებ დავალებას. ის ბაქოს სამრეწველო რაიონებში შექმნილი კომუნისტთა ძლიერი ბირთვის ერთ-ერთი სამაგალითო წარმომადგენელი და ხელმძღვანელი იყო.

ბაქოში საბჭოთა ხელისუფლების დროებითი დაცემისა და სანუელოვანი კომისრების დაპატიმრების შემდეგ ლ. ღოღობერიძეც დაუპატიმრეს. ციხიდან გამოსვლისთანავე კვლავ აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს ახალ შემადგენლობაში.

1918 წლის სექტემბერში, როცა ბაქო თურქებმა დიაკვეს, ლ. ღოღობერიძე არალეგალურად დარჩა ქალაქში და სხვებთან ერთად პარტიული ორგანიზაციის აღდგენს შეუდგა.

1919 წელს ბაქოს პროლეტარიატმა შექმნა თავისი სრულუფლებიანი პოლიტიკური ორგანო „მუშათა კონფერენცია“, რომელიც თავისებური „მუშათა პარლამენტი“ იყო. „მუშათა კონფერენცია“ მუსავატური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში კომუნისტების მიერ ლეგალურ საშუალებათა გამოყენების საუკეთესო ფორმა იყო. ლ. ღოღობერიძე აირჩიეს ამ კონფერენციის პრეზიდიუმის წევრად, შემდეგ — თავჯდომარედ, იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ბაქოს მუშათა 1919 წლის დიდი გაფიცვისა.

რევოლუციური მოძრაობის აღმავლობით დამფრთხალმა მუსავატმა თავდრობამ გაიძლიერა რეპრესიები მოწინავე მუშებისა და გლეხების, უპირველესად კომუნისტების წინააღმდეგ. ლ. ღოღობერიძე რამდენჯერმე დაპატიმრეს, ხოლო 1919 წლის ზაფხულში მუსავატელმა ტერორისტმა მძიმედ დაჭრა.

გამოჯანმრთელებისთანავე აქტიურ არალეგალურ მუშაობას მიუბრუნდა, პარტიის დავალებითა შეა აზიაში გაემგზავრა აჯანყებისათვის საჭირო იარაღის შესაძენად და ეს დავალებაც პირნათლად შეასრულა. ტაშკენტიდან პეტროვსკში (მახაჩყალა) ჩამოვიდა და კავკასიის ფრონტის სამხედრო რევოლუციურმა საბჭომ პარტიული მობილიზაციის წესით კურინგოს ცხენოსან დივიზიაზე მიამაგრა, რომელთანაც ერთად დერბენტიდან დივიჩამდე ანადგურებდა დენიკინელ ბანდებს. აქედან ის კვლავ დაბრუნდა აზერბაიჯანში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე აირჩიეს ბაქოს რევკომის თავმჯდომარედ. 1920 წლის დასასრულს ბაქოს ინტერვენტებმა და ბაქოელ პოლიტიკოსებმა ანმანმლეველო ბოლშევიკთა ბანდიტურად ამოხოცეს. ლ. ღოღობერიძეც ბაქოს ციხეში ამოიყარეს. ციხეში ბოლშევიკებმა ბაქოელ